

საღმრთო  
მედიცინის  
ენციკლოპედია

777

სამკურნალო  
რეცეპტი

შედეგენელი და გამოცემელი  
დეჟურ იოსელიანი

კონსულტანტი - შალვა ხიდაშელი

პროფესორი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტი

11 292, 897

წიგნში გამოყენებულია  
საქართველოში, ჩინეთში,  
ტიბეტში, ინდოეთში, ეგვიპტეში, რუსეთში,  
იაპონიაში, ძველ სპარსეთში, ბოლონეთში, ამერიკაში,  
გერმანიაში და სხვა ქვეყნებში გაფრცელებული  
საღვთისმეტყველების ადგიარებული  
სამკურნალო რეცეპტები.



## „ხალხური მედიცინის ენციკლოპედიის“ უქსახე

ცნობილმა ჟურნალისტმა, გაზეთების: „ჯანმრთელობის საიდუმლოებანი“ და „საოჯახო ცხოვრება“ რედაქტორმა, „ჯანმრთელობის ენციკლოპედიის“ (30 წიგნად) ავტორ-შემდგენელმა და გამომცემელმა დემურ იოსელიანმა მრავალი წლის დაუღალავი შრომა მოახდომა ფართო წრის მკითხველისათვის ფრიად საინტერესო ხალხური მედიცინის მონაცემების შეგროვებას.

ნაშრომში განხილულია ხალხური მედიცინის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით აპრობირებული ბუნებრივი სამკურნალწამლო საშუალებები (სამკურნალო მცენარეები, ცხოველური წარმოშობის პრეპარატები, ვიტამინები და მინერალური ნივთიერებები).

ამ კრებულის უმთავრესი ღირსება ის გახლავთ, რომ ქართული ხალხური მედიცინის გარდა, მასში მოცემულია უცხოეთის მრავალი ქვეყნის საუკუნოვანი გამოცდილების, მცენარეულ მედიცინაში აღიარებული რეცეპტურა.

ცნობილია, რომ საბჭოთა ეპოქაში არა თუ შესაძლებელი არ იყო ამ ხასიათის ნაშრომის გამოქვეყნება, არამედ გამოჩენილ ხალხურ მკურნალებს ყოველმხრივ ავიწროვებდნენ და თავისუფლების ადკვეთითაც კი ემუქრებოდნენ.

მაგრამ ბოლოსდაბოლოს მოხერხდა „ჰქმნა საქმისა სამართლისა“. საქართველოში, კარაბადინების ქვეყანაში, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ბევრი ლიტერატურული წყარო მიეძღვნა სამკურნალო მცენარეების გამოყენებას. სამწუხაროდ, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუყენებელი გამოდგა, უმთავრესად საქირო რეცეპტურული მასალის დეფიციტის გამო.

დემურ იოსელიანის ნაშრომის პრიორიტეტი სწორედ ისაა, რომ მასში მოცემულია უამრავი (700-ზე მეტი) დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე რეცეპტი, რომელთა მისაღებლობა დამტკი-

ცეხულია არა მარტო ხალხური მედიცინის, არამედ თანამედროვე მეცნიერული მედიცინის მიერაც.

ბუნებრივი წარმოშობის სამკურნალწამლო საშუალებების ხალხურ მედიცინაში და არა მარტო ხალხურში, არამედ მეცნიერულ მედიცინაშიც ფართოდ გამოყენება ნაკარკახევია სამკურნალო მცენარეების კომპლექსური გაკვლით ორგანიზმზე, რაც ქიმიურად სინთეზირებულ პრეპარატებს უმეტესწილად არ ანასიათებო.

სამკურნალო მცენარეების დიდი პრიორიტეტულობის დასტურია ის ფაქტი, რომ გულისხმადარღვათა დაავადებების სამკურნალო საშუალებათა არსენალში 80 პროცენტი სამკურნალო მცენარეებზე მოდის.

ყოველივე ნათქვამიდან ცხადი ხდება, რომ ამ ნაშრომის შექმნელმა დიდი სამსახური გაუწია მკითხველებს იმით, რომ შეაგროვა და მკითხველთა ფართო წრისათვის გასაგები, გამართული ქართულით გადმოსცა სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო სამკურნალო რეცეპტები.

ასეთი ხასიათის ნაშრომი პრაქტიკულად პირველად ქვეყნდება საქართველოში, რაც დიდად ზრდის მისდამი ინტერესს.

პროფესორი **უალვა ხილაშელი**,  
ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტი.

**მკითხველთა საყურადღებო!**

კონკრეტული რეცეპტურის გამოყენების  
წინ კონსულტაციისათვის მიმართეთ  
ცნობილ ფიტოთერაპევტს ან  
თქვენს მკურნალ ექიმს.



ს

აღენომა (პროსტატის)

რეცეპტი № 1

ძალიან ეფექტური საშუალებაა ფუტპრის ნახარში. აიღეთ ერთი სადილის კოვზი დახოცილი ფუტკრები და ჩაყარეთ 0,5 ლიტრ ადუღებულ წყალში. დადგით ნელ ცეცხლზე თავდახურულ ჭურჭელში და ორი საათის განმავლობაში ადუღეთ. როცა გაცივდება, გაწურეთ, დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი თაფლი და 2 ჩაის კოვზი დინდგელის 10 პროცენტის სპირტის ექსტრაქტი. აურიეთ თაფლის განზავებამდე. მიიღეთ უწმომზე ერთი სადილის კოვზი დღეში 1-2 ჯერ ერთი თვის განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში კურსი ექვსი თვის შემდეგ გაიმეორეთ.

რეცეპტი № 2

დაწვეით ზურგზე, დაიწყეთ პარჯიში. დღის განმავლობაში გააკეთეთ ველოსიპედით სიარულის იმიტაცია - 300 მოძრაობა ფეხებით, 100-ჯერ შეასრულეთ ე.წ. „მაკრატელა“, 100-ჯერ მიიჭირეთ ფეხები მუცელთან, შემდგომ ორივე ფეხი ერთად გაშალეთ. დადექით, შეასრულეთ 50 ღრმა ჩაჯდომა, 100-ჯერ თითო ფეხის წინ და უკან გაქნევა. შემოსხენებულ ვარჯიშთა კომპლექსი შეასრულეთ ყოველდღიურად.

რეცეპტი № 3

3-ჯერ დღეში ჭამამდე 20 წუთით ადრე მიიღეთ 1 კოვზი შემდეგი შემადგენლობის პრეპარატი: 3 ახალი კპრატსის ბული, სამი ლიმონის წვენი, 200 გრ მთაწმი, 200 გრ კონიაკი ან წითელი ღვინო (ყველაფერი გულდაგულ შეურიეთ). დალიეთ ნარევი მთელი თვის განმავლობაში, შემდეგ შეისვენეთ 2 კვირა.

ა

# ათეროსკლეროზი

რეცეპტი № 4

ნახევარლიტრიანი ბოთლი აავსეთ კარგად დაქუც-  
მაცებული ნივრით და სუფთა სპირტით (ნორი  
ერთი შესამუდის უნდა იყოს). ბოთლი დადგით თბილ  
ადგილას 2 კვირით (სასურველია დღისათ მზეზე დაიდ-  
გას). გაწურვის შემდეგ ნაყენი მზადაა მისაღებად.

**დონირება** — დაიწყეთ 1 წვეთიდან თბილ წყალზე  
ვასშმის წინ. შემდეგ დონა გაზარდეთ ყოველდღი-  
ურად თითო წვეთის დამატებით 25 წვეთამდე. შემ-  
დეგ დონა აბგვარადვე შეამცირეთ დღეში 1 წვეთამ-  
დე. შეისვენეთ ორი კვირა. მკურნალობის კურსი შეგ-  
იძლიათ განიმეორეთ.

რეცეპტი № 5

300 გრ ვარეცხილი და გასუფთავებული ნიორი  
მოათავსეთ ნახევარლიტრიან ბოთლში და დაასხით  
სპირტი. გააჩერეთ სამი კვირა, მიიღეთ ყოველდღიურად  
20-20 წვეთი 1/2 ქიქა რძესთან ერთად.

რეცეპტი № 6

დააქუცმაცეთ ასპილი, შეავსეთ ნახევარლიტრიანი  
ბოთლი 2/3-ზე და დაასხით ძრამი. გააჩერეთ ბნელ ადგილას  
ორი კვირა, ყოველდღე კარგად შეანჯღრიეთ. შემდეგ გა-  
წურეთ და მიიღეთ 20 წვეთი შაქარზე დაწვეთებული.

ასეთივე ხერხით შეიძლება დამზადდეს ნაყენი ასკილის  
მთელი ნაყოფებიდან. იგი შემდეგნაირად მიიღება: დაიწყეთ  
5 წვეთიდან და ყოველდღიურად დონა 5 წვეთით გაზარდეთ.  
მიიყვანეთ რაოდენობა 100 წვეთამდე, შემდეგ თანდათანობით  
შეამცირეთ დონა და ჩამოდით ისევ 5 წვეთამდე.

ა

# ათეროსკლეროზი

რეცეპტი № 7

აილეთ ნებო - 100 გ, არჟის სის კვირტები - 100 გ, პრანსანა - 100 გ, გვირილას ყვავილები - 100 გ. ყველაფერი ეს გაატარეთ სორცსაკეპში, აურიეთ, მოათავსეთ ქილაში, დაასურეთ თავსასური და შეინახეთ მაცივარში. საღამოს, ნაკრების ერთ სადილის კოფს დაასხით 0.5 ლ მდუღარე წყალი, დააყოვნეთ 20 წუთი, გაწურეთ ქსოვილში (ოღონდ არა დოღბანდში), მსუბუქად გამოწურეთ. მასში გახსენით ერთი ჩაის კოფზი **თაშლი**. დალიეთ 21-22 საათზე ერთი ჭიქა თბილი ნაყენი, ამის შემდეგ არც ჭამოთ და არც დალიოთ. დილით დანარჩენი გაათბეთ, მასში გახსნით ერთი ჩაის კოფზი თაფლი და უნძოზე დალიეთ. ნასარშის მიღებიდან ნახევარი საათის შემდეგ ისაუხმეთ. მკურნალობის კურსი: სანამ მთელ ნაკრებს არ დახარჯავთ.

რეცეპტი № 8

**კაკლის უიღა კბილეები** პაერზე შეახმეთ სამი დღის განმავლობაში. ერთი ჭიქა გამსმარი ძვიდეები (50 გრ) ჩაყარეთ ბოთლში, ჩაასხით **კუნძლის ნაყენი**, რომელიც სანახევროდ წყლით უნდა განახავოთ, რადგან ნაყენი 90 გრადუსიან სპირტზე მზადდება.

კუჩულის ნაყენი შესანიშნავად შეავსებს კაკლის ძვიდეების სამკურნალო თვისებებს.

წამალი შეინახეთ თბილ და ბნელ ადგილას 5-7 დღის განმავლობაში. დალიეთ 1 ჩაის კოფზით 3-ჯერ დღეში ჭამის წინ. მკურნალობის სრული კურსი თვესახევარია.

პრეპარატი გამოიყენება ტვინის და გულსისხლძარღვთა ათეროსკლეროზის, გულის იშემიური დაავადების დროს და ინფარქტის შემდგომ პერიოდში, ასევე სისხლძარღვთა სპაზმებისადმი მიდრეკილების შემთხვევაში.

1

# ათეროსკლეროზი

რეცეპტი № 9

აიღეთ ერთი ლიმონის წვენი და ერთი საშუალო ზომის ზორითონის წვენი, აურიეთ 1 ჩაის ქიქა ცხელ წყალში. მიიღეთ ყოველდღე საუხმის წინ. თუ ფორთოხალი არა გაქვთ, გამოვიყენეთ მხოლოდ ლიმონის წვენი.

რეცეპტი № 10

ლიმონის წვენისა და ნიჰრის ნარევის საერთო გამაჯანსაღებელი მოქმედება დიდი ხნის წინ იყო ცნობილი. ნარევი შედგება 100 გრ გასუფთავებული, სახეზე გახეხილი ნიჰრისა და 5 ლიმონის წვენისაგან. ნარევი ჩაასხით ქილაში, რომლის ყელსაც დოლბანდი დააფარეთ. შეინახეთ გრილ ადგილას, მიიღეთ 1 ჩაის კოვზი განსავებული 1 ქიქა თბილ წყალში.

რეცეპტი № 11

400 გრ ნიორი, 4 კგ ნიანშური, 400 გრ პირუშუსას ძირები, 8 ცალი ლიმონი - ყველაფერი გაატარეთ ხორცსაკუმში, მოათავსეთ ქილაში, დაახურეთ დოლბანდი, გააჩერეთ სითბოში (30°C) 12 საათი და 3 დღე - მაცივარში. გამოწურეთ წვენი და დალიეთ 3-ჯერ დღეში ჭამამდე 15 წუთით ადრე დესერტის კოვზით.

რეცეპტი № 12

სუფრის კოვზ გამსმარ მრავალძარღვას დაასხით 0,5 ლ მდუღარე წყალი. გააჩერეთ 10 წუთი და ყლუბყლუბით დალიეთ. ნაყენი გამოისოგეთ მთელი დღის განმავლობაში.

მეორე რეცეპტი: კარგად გარეცხილი მრავალძარღვას ფოთლები დაჭერით, დანაყეთ, გაწურეთ, წვენს შეურიეთ იმავე რაოდენობის თაფლი და 20 წუთი ნელ ცეცხლზე ხარშეთ. დღეში მიიღეთ 2-3 სუფრის კოვზი. შეინახეთ თავდასურული ქილით, გრილ, ბნელ ადგილას.

J

## ამროსკლოროზი

რეცეპტი № 13

შერიეთ ერთმანეთს ერთი ჩაის კოვში ძირტბ-ბილას ძირები და ასპილის ნაყოფი. დააყენეთ და დალიეთ ჩაისავით ორი-სამი კვირის განმავლობაში. ძირტკებლას ძირები და ასკილის ნაყოფი „წმენდს“ სისხლ-ძარღვებს და ხელს უშლის ახალი ათეროსკლეროზული ბალოების გაჩენას.

რეცეპტი № 14

შეურიეთ ერთმანეთს 10-10 გ ბარამბო და ბარისპირა, 40 გ კუნძლის ნაყოფი და ყვავილი, 10 გ დედოფლისთითას და 30 გ მარწყვის ფოთოლი. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1/2 ჩ/ჭ ქაფქაფა, მდუღარე წყალი, 10 წუთი გააჩერეთ და გაწურეთ. მიიღეთ როგორც ჩაი, თაფლით ან შაქრით.

რეცეპტი № 15

შეურიეთ ერთმანეთს 25-25 გრამი გველის სსრო და ტებანი, კვლიაპის თესლი და კუნძ-ლის ნაყოფი, 100 გ კატაბალასა. 1 ჩ/კ ნარევს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააცვივეთ. მიიღეთ 1/5 ჩ/ჭ დღეში 2-ჯერ.

რეცეპტი № 16

რაიმე ქურჭელში მოათავსეთ 50 გრ. ცხენის წაბ-ლის ნაყოფი ან მისი ყვავილი, დაასხით 0,5 ლ არაყი 50 % -იანი განსავევბით, დადეთ თბილ, ბნელ ადგილას. 2 კვირის განმავლობაში, დღეში ერთხელ შეანჯღრიეთ. მიიღეთ 30-40 წვეთი დღეში 3-4-ჯერ, 3-4 კვირის განმავლობაში.

1

# ალერგია

რეცეპტი № 17

ორგანიზმის რეაქციის შესაცვლელად რამდენიმე წლის განმავლობაში ჩაისა და ყავის ნაცვლად მიიღეთ **ორპბილას** ნაყენი.

ნაყენი ჩაის მსგაუსად უნდა მოამზადოთ: 20 გრამ ორკბილას დაასხით 400 გ მდულარე წყალი და 20 წუთი გააჩერეთ, გაწურეთ და მიძროვით. სასურველთა, იგი ყოველი დღეულის წინ დავაყენით. ნაყენი ოქროსფერი უნდა იყოს. მღვრიე და მწკანე ფერის ორკბილას ნაყენი ძველია და შეიძლება მოგწაპლოთ. სჯობს ორკბილა თავად შეაგროვოთ და ბნელ ადგილას გაახშოთ.

რეცეპტი № 18

მიიღეთ ნიასურის ფესვებისა და ფოთლების წვენი დღეში სამჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, ჩაის კოვზით, ერთი თვის განმავლობაში.

რეცეპტი № 19

ერთი სუფრის კოვზი ჭინჭრის ფოთლები ჩაყარეთ ერთ ჭიქა ადულებულ წყალში, გააჩერეთ ერთი საათი, გადაწურეთ. მიიღეთ ნახევარი ჭიქა 4-5-ჯერ დღეში, ერთი თვის განმავლობაში.

რეცეპტი № 20

**უფროსნიღით უჟანგავი ფოლადისაგან დამზადებულ ჭურჭელს.** მან შეიძლება ალერგია გამოიწვიოს!

საქმლის დამზადების პროცესში შეიძლება გამოიყოს ლითონის მიეროსკოპული ნაწილაკები და თუმცა ეს ლითონის ძლიერ უმნიშვნელო რაოდენობაა, მას ზემგრძნობიარე ადამიანებში შეუძლია გამოიწვიოს ქავილი და კანზე გამონაყარი. საუკეთესო დაცვა ის არის, რომ უჟანგავი ფოლადისაგან დამზადებული ჭურჭლის ნაცვლად ინშარით მომინანქრებული ან მინისაგან დამზადებული ჭურჭელი.

1

# ალერგია

რეცეპტი № 21

აიღეთ თითო ჩაის კოვზი **პრჰის ხის** და **სალბის** ფოთლები, ნახევარ-ნახევარი ჩაის კოვზი **კალენდულა** და **ბჰირილა**. შეურიეთ ერთმანეთს. ნარევის სადილის კოვზს დაასხით ერთი ქიქია მდუღარე, დატოვეთ რამდენიმე წუთი, გაწურეთ. დალიეთ ეს ჩაი დღეში 2-3-ჯერ თბილ მდგომარეობაში, უსმონე ან ჭამის წინ, შეიძლება თაფლთან ერთადაც. მკურნალობის კურსი სამი კვირაა.

რეცეპტი № 22

ძლიერი სურდოვანი ალერგიის დროს უნდა გამოვიყენოთ **იორღასალამის** ქერქისა და ფესვის ფსკნილი. დღიური დოზა არის 10-12 გრ. ფსკნილი აუცილებელია მივიღოთ ჭამამდე 20-30 წუთით ადრე. პრეპარატის რაოდენობის სისუსტის დაცვა აუცილებელია. დოზების ცვლა დაუშვებელია. ბავშვებისათვის დოზა ნ გრამია დღეში. ალერგიული სურდოს დროს თუ ბავშვისათვის ძნელია ფსკნილის მიღება, შეურიეთ მურაბას და ისე მიეცით ავადმყოფს. შეიძლება ფსკნილის განსაყვება კომპოტთან ერთად.

რეცეპტი № 23

1 გ **მუმიო** გახსენით 1 ლიტრ თბილ წყალში. მიიღეთ დილაობით 1 სუფრის კოვზი 20 დღის განმავლობაში.

ს

# ალკოჰოლიზმი

რეცეპტი № 24

ავილოთ 1 ჩ.კ. ქათმის სპორმ, კარგად ავურიოთ 0,5 ლ პრაჰში, დავალეგინოთ ავადმყოფს (რაც უფრო მეტს დალევს, მით უკეთესი). ამის შემდეგ უნდა დაეწყოს პირღებინება, რომელიც დაახლოებით 4 დღე გავრძელდება. ასეთი პროცედურის შემდეგ მას სპირტიანი სასმელის დანახვაც კი აღარ მოუნდება.

რეცეპტი № 25

წარმატებით მკურნალობისათვის საჭიროა ავადმყოფის ნებაყოფლობითი თანხმობა. მკურნალობისათვის ძირითად პრეპარატს წარმოადგენს ლიკოპოლიზმი. ლიკოპოდიუმს ვადუღებთ (6 გ ბალახი 100 მლ წყალზე) 20 წუთის განმავლობაში. ახლად დაშხადებული ნასარში უნდა მივიღოთ ცხლად 1/2 ჭიქა. (ავადმყოფი უნდა იყოს ფხისეული). ამ სითხის მიღების შემდეგ პაციენტს ვაძლევეთ დასალევად მისი საყვარელი სპირტიანი სასმელის - 20-50 მლ. არაყს ან ღვინოს. პირღებინება 10-15 წუთში ექნება.

ალკოპოლური სასმელებისადმი სიძულვილის დაჩქარებული გამოქუშავებისათვის განმეორებით ვაძლევეთ ალკოპოლს გულისრევის მაქსიმალური განვითარების მომენტი-სათვის (ღებინების წინ). ჩვეულებრივ სეანსის ბოლოსთვის ალკოპოლის სიტყვიერი ხსენებაც კი იწვევს გულისრევას და ღებინებას. შემდეგში ალკოპოლისმის რეციდივების თავიდან ასაცილებლად ატარებენ განმეორებით მკურნალობას (1-2 სეანსი) ალკოპოლისადმი მისწრაფების გაჩენის შემთხვევაში.

ლიკოპოდიუმის ნასარშის მიღებისას შეიძლება გაჩნდეს ტკივილი მუცელში, კოლაპტოიდური მდგომარეობები.

მკურნალობისათვის წინააღმდეგ ჩვენებაა თირეოტოქსიკოზი, დიაბეტი, გამოსატული კარდიოსკლეროზი, ინფარქტის წინარე და შემდგომი მდგომარეობანი.



1

## აღკოპოლიზმი

რეცეპტი № 26

აიღეთ ერთი სუფრის კოვზი ხარისჩლიქას დაქუც-  
მაცებული ფესვი ერთ ჭიქა წყალზე. დაბალ ცეცხლზე  
ადუღეთ 10-15 წთ. შეფუთეთ და გააჩერეთ 30 წთ. შემდეგ  
გადაწერეთ. ერთი სადილის კოვზი ნაყენი ჩაასხით 1  
ჭიქა არაყში. ეს ნარევი იწვევს ღებინებას და ალკოჰოლის  
ძლიერ ზინღს. ზოგიერთ ალკოჰოლიკზე ეს ხერხი  
ძალიან კარგად მოქმედებს.

რეცეპტი № 27

არაყში ჩადეთ 250 გ ცისქარას ფესვი და ღაფნის  
2 ფოთოლი. დააყენეთ 2 კვირა. ალკოჰოლიკს მიეცით  
ამ ნაყენის 1 ჭიქა. ამით არყის ზინღს გამოვიწვევთ.

რეცეპტი № 28

ავიღოთ ხარისჩლიქას 1 ჩაის კოვზი დაქუც-  
მაცებული ფოთლები და 2 ჩაის კოვზი წინებო. ამ  
ნარევის 1 ჩაის კოვზს დავასხათ ღვინო და ისე მივიღოთ.  
ეს რეცეპტი გათვლილია 4 ლიტრ ღვინოზე.

რეცეპტი № 29

ტყის მწვანე ბაღლინჯო (მრავლდება ყოლოში)  
გამოსცემს მწვავე არასასიამოვნო სუნს. დაიჭირეთ რამო-  
დენიმე ბაღლინჯო და ჩაადეთ არაყში. დასალევად  
მიეცით ალკოჰოლისმით დაავადებულ ადამიანს. ეს  
ნაყენი მასში სასმელისადმი ზინღს გამოიწვევს, ავად-  
მყოფმა ამის შესახებ არ უნდა იცოდეს.

რეცეპტი № 30

ცოცხალი თიხვის სისხლი ღვინოში გაურიეთ  
და დაალევინეთ, ან დანაყილი ძმბოსტოს თესლი  
ღვინოში გაურიეთ. თავის დღეში ალკოჰოლს აღარ  
გაეკარება.

ა

# ანბინა

რეცეპტი № 31

2 სუფრის კოვში **ვაშლის ქმარი** ჩაასხთ ერთ ჭიქა წყალში. ყელში გამოივლეთ ყოველ საათში ერთხელ. ხსნარი რამდენიმე წუთის განმავლობაში პირის ღრუში გააჩერეთ და შემდეგ გადაყლაპეთ.

რეცეპტი № 32

1-2 წვეთი სუფთა **სოჭის ზეთი** დაიწვეთეთ პიპეტის საშუალებით ნუშისებრ ჯირკვლებზე, შეიძლება ზეთის წასმა ბამბითაც ან შესხურება შპრიცით. 6 საათის შემდეგ პროცედურა გაიმეორეთ. კურსი - 1-2 დღე.

რეცეპტი № 33

აიღეთ **ლიმონის 2-3 ნაჭერი**, გაასუფთავეთ კანისაგან, გაიჩერეთ პირში, გამოწოვით, ეცადეთ, რომ ლიმონის ნაჭრები რაც შეიძლება ახლოს გქონდეთ ყელთან. ჩაიტარეთ ასეთი პროცედურა ყოველ საათში. კარგია, ასევე, დღის განმავლობაში მთლიანად, კანიანად შეჭამოთ ერთი ლიმონი.

რეცეპტი № 34

ძველებური სერსი **ანბინის** მკურნალობისა: აკადმყოფის პირთან ახლოს მიაქვთ დიდი **ბაყაყი** და ავადმყოფს აიძულებენ პირდაპირ მასზე ისუნთქოს. ამისაგან ბაყაყის გული იწყებს გაძლიერებულ ცემას, ავადმყოფი კი მაშინვე უკეთ გრძნობს თავს. 8-10 წუთის შემდეგ ავადმყოფობა სრულიად ქრება და როგორც ექიმბაშები ამტკიცებენ, იგი ბაყაყზე „გადადის“. ბაყაყი აკეთებს ორ-სამ პატარა ავადმყოფურ ნახტომს და კვდება. ავადმყოფი კი სრულიად ჯანმრთელდება დროის ძალიან მცირე მონაკვეთში. სპარსელი ხალხური მკურნალებიც პრაქტიკულად მხოლოდ ამ სერსით მკურნალობენ ანგინას.

სამკურნალოდ გამოსაყენებელი ბაყაყი აუცილებლად დიდი უნდა იყოს.

**ს** **ანბინა**

რეცეპტი № 35

მღუღარე რძეში ჩადეთ თეთრი ბურის პატარა ნაჭერი, როდესაც პური გაიჟღინთება რძით, ამოიღეთ, გააგრილეთ ოთახის ტემპერატურაზე და შეჭამეთ. გაამეორეთ სამჯერ დღეში.

რეცეპტი № 36

უძი ქარხლიდან გამოწურეთ ერთი ჭიქა წვენი და დაუმატეთ მას სადილის კოვზი ძმარი. ეს ხსნარი 5-ს-ჯერ დღეში გამსოივლეთ ყელში. ყოველი პროცედურის შემდეგ გაღებეთ ლიმონის ნაჭერი.

რეცეპტი № 37

შეყრიეთ ერთმანეთს თითო წილი ორკბილა, სალბი და ბვირილა. 10 გ ნარევს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მღუღარე, გააჩერეთ 1 საათი, გაწურეთ და დაუმატეთ ლიმონის ცედრა და თაფლი. მიიღეთ 50 გ თბილი ნაყენი 2-ჯერ დღეში, ჭამის შემდეგ.

რეცეპტი № 38

მიირთვით რძეში მოხარშული ლეღვის ჩირი. ყელიდან ჩირქს მოგაშორებთ.

რეცეპტი № 39

გახეხილ ნიორს დაუმატეთ თაფლი 1:1 და მიიღეთ თითო ჩაის კოვზი დღეში 3-4 ჯერ.

რეცეპტი № 40

ყელში გამსოივლეთ მარილიანი ცხელი წყალი ან სოლიანი თბილი წყალი. 1 წვეთი იოდი დაუმატეთ.

ა

**ართრიტი**

რეცეპტი № 41

რევმატიული ართრიტის შემთხვევაში - აიღეთ 1 წილი სორბლის გალივებული მარცვლები და იგივე რაოდენობით ნატურალური ტარაქი. შეურიეთ ერთმანეთს. ნარევი, დღეში სამჯერ, სადილის კოვზით დალიეთ საჭმლის მიღებამდე ერთი საათით ადრე. მიღებასთან ერთად, იგივე ნარევი დაშავებულ ადგილებში დაიდეთ დღეში ორჯერ ან სამჯერ. გარე გამოსაყენებელი ნარევის დამზადებისათვის გალივებული მარცვლები შერევამდე ორჯერ გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში.

რეცეპტი № 42

აიღეთ ერთი ჭიქა მსხვილად დაფქული სუფრის მარილი და ორი ჭიქა თოვლი. ყველაფერი სწრაფად შეურიეთ სის კოვზით, დაიდეთ მტკივან სახსარზე (არანაკლებ 15 სმ-ის სისქისა) და დააფარეთ პოლიეთილენის აფსკი. შვიდი წუთის შემდეგ მოიხსენით კომპრესი და კანიდან ჩამოიბერტყეთ მარილი. კანი დილამდე არ ჩამოიბანოთ. ბევრი, მართალია, ამ პროცედურას მტკივნეულად იტანს, მაგრამ სამაგიეროდ განკურნება ერთი სეანსით ხდება.

რეცეპტი № 43

რეკომენდებულია თხევადი მალამო (შესაწვლად) შემდეგი შემადგენლობით: ათქვიფეთ ტვირცხის გული, დაუმატეთ ერთი ჩაის კოვზი სპიზი-ღარი და ერთი სუფრის კოვზი ვაშლის ძმარი. ეს თხევადი მალამო გულდასმით შეიზილეთ დაავადებული სახსრების კანის შედაპირზე.

ა

## ართრიტი

რეცეპტი № 44

ართრიტიანი ავადმყოფების მკურნალობისას, სამკურნალო თვისებები აქვთ როგორც კვირტებს, ასევე **პრჰის ხის** ფოთლებს. ყველაფერს სჯობია ახალი კვირტების და ფოთლების გამოყენება, მაგრამ წამთარში შეიძლება გამხმარიც გამოვიყენოთ.

მაღაძოს დამზადება: 800 გ ახალი უმარილო **მწესშეწინრას** ზეთი შეურიეთ 400 გ **პრჰის ხის** კვირტებს და თინის ქილაში ჩააწყეთ ფენებად. თავი მჭიდროდ დაუცავით, შედგით 24 საათით ცხელ ღუმელში. თუ გამხმარ კვირტებს გამოიყენებთ, ღუმელში ყოყნის დრო გაიზრდება 48 საათამდე. შემდეგ მიღებული მასა გაატარეთ საცერში და დაუმატეთ **ქაწურის** ფსენილი - დაახლოებით 6 გრამი. პრეპარატი კარგად აურიეთ და დადგით ცივ ადგილას. დააკადებელი ადგილები დაიწილეთ ძილის წინ.

რეცეპტი № 45

ართრიტის დროს დაგეხმარებათ **პრჰის, ლანგანის, როსმარინის, მაიორანის და იმბირის** ზეთები. ერთ-ერთი ამ ზეთთაგანი ჩააწვეთეთ თბილ აბაზანაში და შეურიეთ დასასუნელ საცხებს.

შინაგანი მიღებისათვის სჯობს **რეპტანის** ზეთის 2-3 წვეთი დაუმატოთ **თაფლს** და მიიღოთ 3-ჯერ დღეში.

გახსოვდეთ, რომ ყოველდღე უნდა იკვებოთ **კალციუმით** და **ვიტამინებით** მდიდარი პროდუქტებით.

ს

# ართრიტი

რეცეპტი № 46

ერთ-ერთ საუკეთესო ტუტოვან სასმელად ითვლება **პარტოფილის წვენი**. სასარგებლოა დღეში თუნდაც ერთი უმი, კანიანად გახსნილი კარტოფილის ჭამა. ინდოელები ამტკიცებენ, რომ ართრიტის სამკურნალოდ საუკეთესოა კანიანი ზამთრის კარტოფილი. როგორც კი კარტოფილი დარბილდება ან გამაგრდება, იგი ახლით უნდა შეიცვალოს. ერთ-ერთ ავადმყოფს, რომელსაც თავიდან თითების მოძრაობაც კი უჭირდა, კარტოფილით მკურნალობის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ თავისუფლად შეეძლო მუშტების გაშლა და შეკუმშვა. მას წინსაფარში ყოველთვის ედო კარტოფილი და ყოველი შესაძლებლობისას ხელს კიდებდა მას. ღამე კი, იმისათვის რომ კარტოფილი არ დაეკარგა, ხელზე წინდას იცვამდა. შეიძლება კარტოფილის კისერზე ტარებაც მედალიონივით.

რეცეპტი № 47

დალიეთ **ლიმონის, ბრეიფრუტის, სტავილოს და ისპანახის** თანაბარი რაოდენობით აღებული წველების ნარევი. გრეიფრუტის წვენი ხელს უწყობს არაორგანული კალციუმის გახსნას, რაც სრტილის გაქვავებას იწვევს. გრეიფრუტის წვენი კი ქოლესტერინის დონეზე მოქმედებს და ახდენს შარდის მჟავის სისხლიდან გამოდენას.

ართრიტის მკურნალობის საუკეთესო ხერხია ერთ კვირიანი შიმშილობა, რომლის დროსაც უნდა მიიღოთ **ლიმონიანი დისტილირებული წყალი**. მკურნალობის ასეთი წესისას თავიდან ტკივილები ძლიერდება, მაგრამ შიმშილობის ყოველი მომდევნო კვირის შემდეგ იგი სუსტდება.

100 გრ გამხმარ და დაქუცმაცებულ ლიმონის ქერქს დაასხით 1 ლ წყალი, გააჩერეთ ბნელ ადგილას ორი კვირა, დროდადრო შეანჯღრიეთ, გაწურეთ. მიიღეთ 30 წვეთი 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

ს

# ართრიტი

რეცეპტი № 48

სუფთა სპივიღარი - 0,5 ლიტრი;  
 სუფთა სპირტი - 0,5 ლიტრი;  
 ზემითუნის ზეთი - 0,5 ლიტრი;  
 ქაფური - ჩაის კოვზის მესამედი.

ღამსადების წესი: გახსენით ქაფური სკიპიდარში, დაამატეთ ზეთუნის ზეთი, შემდეგ სპირტი. გამოყენების წინ კარგად შეანჯღირიეთ. ძილის წინ მტკივნეული ადგილები დაისილეთ ამ ძალაძლიერ მანამ, ვიდრე ძალაძლიერ შესრება, შემდეგ შეისვიეთ შალის ქსოვილით და დილაამდე ნუ მოიშორებთ.

რეცეპტი № 49

ფარსმანღუპი ახალი — 30 გრ.  
 ძებრნლის ფოთოლი — 17 გრ.  
 ბებრბინი — 25 გრ.  
 კოჭა — სამკურნალო — 6 გრ.  
 ციგბირული ფინიკის თესლები — 5 გრ.  
 წყალი — 3 ჭიქა

ყველაფერი აადუღეთ ნელ ცეცხლზე მანამ, ვიდრე ნახევარი წყალი არ აორთქლდება. მიიღეთ 1 ჩაის კოვზი, 3-ჯერ დღეში.

რეცეპტი № 50

უძველეს დროში ართრიტით დაავადებულებს დღეში ნახევარ კილო ბაღს აჭმევდნენ. "ბლით მკურნალობის" შემდეგ ქრებოდა სახსრების დეფორმაციაც კი.

ბალი შეიძლება მიიღოთ კომპოტის, წვენი სახით, ან ახალი ნაყოფი. ხანდახან მდგომარეობა უმჯობესდება 2 დღის შემდეგ, ხან კი მეტი დროა საჭირო. პაციენტის ასაკის მიუხედავად ასეთი მკურნალობის შემდეგ გადის წელის, მუხლების, ფეხის თითების ტკივილები.

ს

# პრობლემა

## უ. ხიდაშელის „უბარი მალამო“

მაღამო უნდა შეიზილოთ დაავადებულ, მტკივნეულ ადვილებში. უნდა წაიციოთ თხელი ფენა და მსუბუქი მასა-  
 ყით. შეიზილოთ 3-5 წუთის განმავლობაში, რომ კანმა  
 მოასწროს შეთვისება. უკეთესია მასაჟი გაკეთდეს ძილის  
 წინ, მეორედ კი დღის განმავლობაში, ნაშუადღევს 2  
 საათამდე. მისი მიზნარების ხანგრძლივობა თვითონ პა-  
 ციენტმა უნდა განსაზღვროს. ხშირად მაღამო ეფექტურია  
 2-3 წაცხებაზეც კი. მაგრამ უმჯობესია ჩაიტაროთ 10 პრო-  
 ცედურა მაინც. ხოლო ქრონიკული პროცესების შემთხვევა-  
 ში შეეძლიათ მაღამო უფრო ხანგრძლივი დროით მოინმა-  
 როთ. განკურნებამდე.

რეკომენდაცია № 51

5-6 ღყუნის ფოთოლს დაასხით 300 მლ მდუღარე  
 და ადუღეთ 3-5 წუთი. ჩაასხით ეს წყალი ფოთლებთან  
 ერთად თერმოსში და გააჩერეთ დღიამდე. დილით ნაყენი  
 გაწურეთ და მცირე ყლებებით დალიეთ 12 საათის გან-  
 მავლობაში. ერთბაშად ბევრის დაღვევა არ შეიძლება. დაფნის  
 ფოთლებიდან გამოიყოფა ნივთიერება, რომელიც მკვეთრად  
 აფართოებს მიკროსისხლძარღვებს, რის შედეგადაც უმჯო-  
 ბესდება მიმოცვლა სახსრებში, მცირდება შეშუპება, ანთება  
 და მარილების გამოლქვა.

ეს პროცედურა გაიმეორეთ სამი დღე, ყოველ ჯერზე  
 დაამზადეთ ნახარში საღამოობით. სამი დღის მიღების  
 შემდეგ გააყეთეთ შესვენება ერთი კვირით. შემდეგ გაიმეორეთ  
 პროცედურა კიდევ სამი დღე. გააკეთეთ შესვენება ერთი  
 თვით, შემდეგ კურსი გაიმეორეთ - 3 დღე მიიღეთ ნახარში,  
 ერთი კვირა - შეისვენეთ. ნახარში დალიეთ 2-3 ყლებობით  
 ყოველი 15-20 წუთის შემდეგ საკვების მიღების შუალედში.  
 თუ ასეთი კურსისას სახსრები სრულად არ გაიწმინდება,  
 ერთი თვის შემდეგ კურსი გაიმეორეთ.

რეკომენდაცია № 52



ა

არითმია

რეცეპტი № 53

აიღეთ 15 გ წითელი კუნელის ნაყოფი, 15 გ თეთრეპკას ნაყოფი, კარგად გარეცხეთ წყალში, მოათავსეთ ქურქელში, დაასხით წყალი და ხარშეთ ნელ ცეცხლზე ორი საათის განმავლობაში. შემდეგ ნახარში გააცით, გაწურეთ. დალიეთ ოდნავ ცხელი, 50 გ 4-6-ჯერ დღეში. ყოველ ჯერზე ნახარში ოდნავ შეათბეთ და ისე მიიღეთ.

რეცეპტი № 54

პატარა ჯამში ჩაწურეთ ერთი ცალი ლიმონი, დაუმატეთ ერთი სუფრის კოფნი ნატურალური თაფლი, ერთი ამპულა კარდიამინი, აურიეთ კარგად და მიიღეთ უნძონზე ყოველ დღით 10-12 დღის განმავლობაში.

მკურნალობის კურსი შეგიძლიათ გაიმეოროთ სამი თვის შემდეგ.

რეცეპტი № 55

გახეხეთ 0,5 კგ ლიმონი, დაუმატეთ 0,5 კგ თაფლი და 20 ბარბარის კურკის დანაყილი გული. მიიღეთ 1 სუფრის კოფნი დილა-საღამოს, უნძონზე.

რეცეპტი № 56

1 სუფრის კოფს ლობიოს პარკებს დაასხით 1 ჭიქა მდულარე წყალი, გააჩერეთ ორთქლზე 30 წუთი, დააყენეთ 10 წუთი, ცხელ-ცხელი გაწურეთ. მიიღეთ 2 სუფრის კოფნი 3-4-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

ა

# ასთმა

რეცეპტი № 57

ამოიღეთ კვების რაციონიდან ყველა სახის რძის პროდუქტი. დღეში ორჯელ (დილით და შუადღისას) მიიღეთ 0,5 ჩაის კოვზი ასეთი ნარევი: 100 გრ გახეხილი პირშუშსა და სამი ლიმონიდან გამოწურული წვენი. ნარევის მიღებიდან ნახევარი საათის განმავლობაში ნურაფერს შეჭამთ და დაღვეთ. პირშუშსა ახალი უნდა იყოს. შეინახეთ ნარევი მაცივარში არაუმეტეს ერთი კვირისა.

რეცეპტი № 58

შეურიეთ თანაბარი რაოდენობით წითელი ჭარხლის, შავი თაღბამის, ხახვის, მოცვის, ლიმონის, ალოეს ფოთლების ფხენი, თაფლი, შაქარი, 96%-იანი სპირტი, შეინახეთ ნარევი მაცივარში. მიიღეთ 2 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. ნარევი თავიდან გვაცილებს დაავადების გამწვავებას და აუმჯობესებს სასუნთქი ორგანოების ფუნქციონალურ მდგომარეობას.

რეცეპტი № 59

აიღეთ 1 ლ თაფლი, 10 ლიმონის ფხენი და 10 თავი დაჭყლებილი ნიორი. ყველაფერი შეურიეთ და დადგით 1 კვირა მჭიდროდ თავდასურულ ჭურჭელში. ეს რაოდენობა საკმარისია 2 თვის განმავლობაში.

რეცეპტი № 60

შეურიეთ ერთმანეთს თითო წილი შიჭვის კვრტი, მრამბალქარღვას და პირისტპრვას ფოთლოი. 4 ჩ/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ ცივი წყალი. გააჩერეთ 2 სათი, ადუღეთ 5 წუთი და 15 წუთის შემდეგ გაწურეთ. მიიღეთ 3 მიღებაზე დღის განმავლობაში.

ს

# სტამა

რეკომენდაცია № 61

შეურიეთ ერთმანეთს 10-10 გ **ფურისულას** ყვავილები, **ცვრიანა**, სურნელოვანი **ია**, **ძირტკბილას** ფესვები, 40 გ **კვლიაშის** თესლი. 4 სუფრის კოვზ ნარეკს დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი, გააჩერეთ 2 საათი, შემდეგ წამოადუღეთ და გაწურეთ. მიიღეთ 3 მიღებაზე დღის განმავლობაში.

რეკომენდაცია № 62

500 გ **კოჭა** გარეცხეთ, გაასუფთავეთ, გახეხეთ და შოთათავსეთ 1 ლიტრის ტუგადობის ბოთლში, ბოთლი გაავსეთ **სპირტით**; ნარევი დადგით 2 კვირით თბილ ადგილზე. დროდადრო შეანჯღღრით მანამ, სანამ ნაყენი არ მიიღებს სუსტი ჩაის ფერს; შემდეგ ნაყენი გაწურეთ ორმაგ დოლბანდში.  
ამის შემდეგ ნაყენი დადგით მანამ, სანამ ბოთლის ფსკერზე ნალექი არ გაჩნდება (1 დღის განმავლობაში); შემდეგ სუფთა ნაყენი ფრთხილად გადაასხით მეორე ბოთლში, ნალექს გადადვარეთ.  
ნაყენი მიიღეთ 2-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ. დოზა - 1 ჩაის კოვზი ნახევარ ჭიქა წყალზე.


რეკომენდაცია № 63

მოამზადეთ შემდეგი ბალახების ნაყენი: **ჭინჭარი** - ნახევარი ჭიქა, **თაშაბო** - 2 სუფრის კოვზი, **ლეკაშის** ნორჩი ფოთლები - 1 ჩაის კოვზი, **თსანათისალა** - 1 ჩაის კოვზი 1 ჭიქა წყალზე. აურიეთ, დაამატეთ ნახევარი ჩაის კოვზი **სოდა**, სინათლენე, სითბოში გააჩერეთ 10 დღე. დილით ჭამამდე (დღეში ერთხელ) მხოლოდ ერთი ჩაის კოვზი მიიღეთ.

ა

ასთმა

ასთმის სამკურნალოდ ჯერჯერობით არ არსებობს რადიკალური თერაპიული მეთოდები. აკადემიკოსმა აუცი-  
ლებლად უნდა დაიცვას ცხოვრების ჯანმრთელი წილი.  
მსუბუქი ვარჯიში დაეხმარება მას განვიითაროს სუნთქვის




ორგანოების კუნ-  
თები. თავი უნდა  
აარიდოს ინგალა-  
ციური თერაპიის  
ზედმეტ გამოყენე-  
ბას.

ვარჯიში 1.  
შეტევის დროს  
ჩაიტარეთ წერ-  
ტილ „კოსაი“ და  
„ტაიენი“ მასაჟი.  
ასევე სასარგებ-  
ლოა ხელების  
ჩაყოფა დაახ-

კოსაი

ტაიენი



ლოებით 45 გრადუსიან წყალში (10 წუთით).

ვარჯიში 2. დაწეით მყარ შედაპირზე მუ-  
ცლით ქვემოთ, გადაჯვარედინებელი ხელები ამოი-  
დეთ ნიკაპის ქვეშ. აკეთებენ რა ცხვირით წყნარ ამო-  
სუნთქვას, ნელა ეწევიან ფეხს ზემოთ, როგორც ეს  
ნაჩვენებია ნახატზე. ასწიეთ ფეხი მაქსიმალურად და  
შეაჩერეთ სუნთქვა სამი წამი, შემდეგ ნელა ამო-  
ისუნთქეთ პირიდან, დაუშვით ფეხი. იგივე გაიმეორეთ  
მეორე ფეხისათვის. ვარჯიში სრულდება 5-10 წუთის  
განმავლობაში.

რეკლამები № 64

ს

ასთმა

რეცეპტი № 65

მოამზადეთ შემდეგი ბალახების ნაყენი: ნახევარი ჭიქა შპრსპის ფოთლები, 1 ჩაის კოვზი ს(ო)ჰის წიწვები დააყენეთ 1 ჭიქა წყალზე. აურიეთ, დაამატეთ ნახევარი ჩაის კოვზი სოდა, 5-ს დღე სიბნელეში გააჩერეთ, დალიეთ ჭამამდე ერთი სუფრის კოვზი (მხოლოდ დღეში ერთხელ).

რეცეპტი № 66

ასთმა ბავშვებში - მოამზადეთ მალამო დანაყილი ახპირინისა და ღორის ქონისბან. წაუსვით ბავშვს გულ-მკერდზე 10 დღის განმავლობაში.

რეცეპტი № 67

შეურიეთ ერთმანეთს 10-10 გ ბებქონდარა, შირისტიპრფას ფოთოლი, სამფური ია. 4 ჩ/კ ნარეკს დაასხით 1 ჭიქა ცივი წყალი, გაჩერეთ 2 სათი. ნაყენი ადუღეთ 5 წუთი და 15 წუთის შემდეგ გაწურეთ. მიიღეთ 3 მიღებაზე დღის განმავლობაში.

რეცეპტი № 68

6 გ ტუსტის ფესვებს დაასხით 1 ჩ/ჭ ქაფქაფა. მდუღარე წყალი. დადგით 30 წუთი წყლის ორთქლზე. გააცხვეთ 10 წუთი და გაწურეთ. მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ ცხელი ნაყენი 3-ჯერ დღეში, ჭამის შემდეგ.

რეცეპტი № 69

შეურიეთ ერთმანეთს 10-10 გ ანისულის, სპლის, ღიღკაპის, ბებქონდარას და სქლის თესვები. 4 ჩ/კ ნარეკს დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი, გააჩერეთ 2 საათი და შემდეგ 5 წუთი ადუღეთ. გაწურეთ და მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში.

ა

ასთავ

რეცეპტი № 70

2 კგ შპრის მარცვლები, 200 გრ ალომს ნედლი ფოსტლები, 200 გრ კონიაკი, 200 გრ თაფლი მოათავსეთ მომინაქრებულ ქურჭელში, დაასხით სუთი ლიტრი წყალი და 3 საათით შედგით აერლუმელში (ტემპერატურა ისეთი უნდა იყოს, როგორც პურის გამოცხობისას), შემდეგ გაწურეთ. კარგად გამოწურეთ ნარჩენი და კიდევ მიუმატეთ 200-200 გრ ალოე, კონიაკი და თაფლი. აერლუმელში მიიყვანეთ ადუღებამდე და მაშინვე გადმოიღეთ. გააციეთ, გაწურეთ. გარდა ამისა, 3 ლ რძისაბან მიიღეთ შრატი, მას დაუმატეთ 1 ჭიქა თაფლი და 100 გ კულეუსოს დაქუცმაცებული ფესვები, კვლავ შედგით აერლუმელში 4 საათით. გაცივების შემდეგ გაწურეთ. ორივე ნახარში შეინახეთ გრილ ადგილას. მსუბუქი საკვების შემდეგ მიიღეთ 3-ჯერ დღეში თითო სუფრის კოფში. მკურნალობის კურსი 2-4 თვეა, ხანდახან საკმარისია ერთი თვე. სოფჯერ ორი კვირაც კი ასეთი მკურნალობისას სასურველია დალიოთ მინერალური წყალი „ბორჯომი“.

რეცეპტი № 71

2 თავი ნიორი და 5 ლიმონი გასეხეთ სანახეზე, დაასხით 1 ლ ოთახის ტემპერატურის ანადუღარი წყალი, დააყენეთ 5 დღე, გაწურეთ, ნარჩენი კარგად გამოწურეთ. მიიღეთ 1 სუფრის კოფში 3 ჯერ დღეში ჭამამდე 20 წუთით ადრე.

რეცეპტი № 72

შეურიეთ ერთმანეთს 25 გ წყლის იელი და 15 გ ჭინჭარი. დაქუცმაცებულ ნარევს დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი, გააჩერეთ 3 საათი და გაწურეთ. მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ 5-6-ჯერ დღეში.

ს

ასთმა

რეცეპტი № 73

ავიღოთ ერთი მუჭა სვინტრის ფესვურა და დავასხათ ორი ლიტრი წყალი, ავადულოთ, სანამ მასა ნასევარი არ დარჩება. გადმოვიღოთ, გადავწუროთ და ჩავეყაროთ 200-300 გრ შაქარ-ყინული.

მიღების წესი: შემთბარი მასა უნდა დავლიოთ დღეში 4-ჯერ ჩაის ჭიქით, 10-15 ლიტრამდე.

რეცეპტი № 74

100 გრამი პარღის ფურცელი, 500 გრ გახეხილი უმი ბღობრა, მრავალპარღვას 5 ფოთოლი (წვრილად დაჭრილი), 2 სუფრის კოვზი მთაწლი, 1 ლიტრი მშრალი წითელი ღვინო.

მიიყვანეთ ადულებამდე, მაგრამ არ აადულოთ. დააყენეთ 1 დღე-ღამე. მიიღეთ სუფრის კოვზით დღეში 5-ჯერ.

რეცეპტი № 75

ავიღოთ ათ-ათი გრამი წყლის იაღი, ვირის-ტირზას ფოთლები, სამშპრა ია, ბვირილას ყვავილი, ძირტკბილას ფესვები, ანისულის ნაყოფი, პიტნა, მრავალპარღვას ფოთლები. ავიღოთ ნარევის 10 გრ, მოვათავსოთ მომინანქრებულ ჭურჭელში. დავასხათ 200 მლ ადულებული წყალი და ვადულოთ წყლის აბანანაზე 15 წუთს. შემდეგ გავაცვიოთ 45 წუთს. შევავსოთ აორთქლებული წყლის რაოდენობა მდულარე წყლით 200 მლ-მდე და დავლიოთ.

მივიღოთ 1/3 - 1/4 ჭიქა ნაყენი ჭამის წინ ბრონქიალური ასთმის ან ასთმის დროს.

ბ

**ბრონქიტი**

რეცეპტი № 76

აიღეთ 2 სუფრის კოვში გახენილი, დაქუცმაცებული **თაღბაში**, დაასხით 1 ჭიქა მდულარე წყალი, შეფუთეთ და დადგით 1 საათით. მიიღეთ 1/4 ჭიქა 4-5-ჯერ დღეში. ამ სიისის მიღება ხანგრძლივად შეგიძლიათ.

რეცეპტი № 77

შეუფარდეთ ერთმანეთს შეხელება და ინჰალაცია. ჩაასხით მდულარე მომინანქრებულ ქვაბში, ჩააწვეთეთ 3-4 წვეთი **სოჭის** ზეთი, დაიფარეთ და ისუნთქეთ. როდესაც ზეთი აორთქლდება, კიდევ დაუმატეთ 3-4 წვეთი. ინჰალაციის ხანგრძლივობა 5-7 წუთია. ზეთის შეხელების შემდეგ თბილად დაიხურეთ.

რეცეპტი № 78

ბრონქიტის, ხველების, ღვიძლისა და თირკმელების სამკურნალოდ ციმბირში 1 ლ **შავი ბოლოკის** წვენი კარგად ურევენ 400 გრამ თხელ **თაფლში**. სვამენ ორ-ორ სუფრის კოვსს ჭამის წინ, აგრეთვე ძილის წინ.

რეცეპტი № 79

**შავ ბოლოკს** მოაჭერით თავი, ამოუღეთ გულის ერთი მესამედი, ჩაასხით შიგ ცოტა **თაფლი** და ფესვით წყლიან ჭიქაში ჩაკიდეთ. სამი-ოთხი საათის შემდეგ დაგროვილი წვენი ჩაასხით ჭიქაში, ხოლო ბოლოკში ჩაამატეთ **თაფლი**. ერთი ბოლოკი შეგიძლიათ ორი დღე გამოიყენოთ. თითო ჩაის კოვში წვენი სვით დღეში სამ-ოთხჯერ.



ბ

# ბრონქიტი

რეცეპტი № 80

ორი სუფრის კოვზი **ორშპრი** ჩაყარეთ 500 მლ ადუღებულ წყალში. სითხე ორი საათით გააჩერეთ და გაწურეთ. 50-100 მლ ნაყენი დალიეთ ჭამამდე 30 წუთით ადრე 3-4-ჯერ დღეში.

რეცეპტი № 81

მოამზადეთ შემდეგი მცენარეული ნაკრები: 20 გრამი ალ(ო)ეს ფოთოლი, 20 გრამი შავი მოცვის ფოთოლი, 20 გრამი წითელი მოცვის ფოთოლი, 20 გრამი თაღბაშურას წვენი და 20 გრამი წყლის ნიკლის ფესვი. ამ ნაკრებს დაასხით 1 ლიტრი არაჟი. დააყენეთ თავდასურულ ჭურჭელში 10-12 დღის განმავლობაში. დაამატეთ 100 გრამი გამდნარი და შემთბარი თაფლი და 100 გრამი ძარაჟი. მიიღეთ თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

რეცეპტი № 82

**ბრონქიტი ბავშვებში** - ორი ახალი კმპრ-ცსი შეწვით გამდნარ ღორის ქონში და დააყარეთ მარილი. როდესაც მიღებული მასა გაცივდება, დაადეთ ბავშვს გულ-მკერდზე ღამის განმავლობაში.

რეცეპტი № 83

**მწვანე კაკლით** (სამურაბედ რომ იყენებენ) გაავსეთ ნახევარკილოიანი ქილა, შემდეგ შეავსეთ არაჟით და 40 დღეს დადვით მზესე.

მიიღეთ 1 ჩაის კოვზი, 3-4-ჯერ. ბავშვებს მიეცით დღეში 1 ჩაის კოვზი თავლიან ჩაისთან ერთად. შეინახეთ ბნელსა და გრილ ადგილას.

ბ

**ბრონქიტი**

რეცეპტი № 84

შეურიეთ ერთმანეთს 40-40 გ **პირისტერვა** და **ძირტაბილა**. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ ქაფქაფა, მდუღარე წყალი. გააჩერეთ 30-40 წუთი და გაწურეთ. მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში, ჭამის წინ. მკურნალობა გააგრძელეთ გამოჯანმრთელებამდე.

რეცეპტი № 85

შეურიეთ ერთმანეთს 500 გრ დაჭრილი **სასპი**, 400 გრ **შაქარი**, 50 გრ **თაფლი**. დაუმატეთ 1 ლ წყალი, ნარევი ხარშეთ ნელ ცეცხლზე 3 საათის განმავლობაში. გაწურეთ და ჩაასხით ბოთლში. მიიღეთ 1 სუფრის კოვზი 4-ნ-ჯერ დღეში. შეიძლება ისენთქოთ ახალდამზადებული სახვის ფაფის ანაორთქლით 10 წუთის განმავლობაში. მკურნალობის კურსი 30-40 დღეა. გაიმეორეთ იგივე ერთი თვის შემდეგ.

რეცეპტი № 86

1 წილ **თაფლავას** შეურიეთ ორ-ორი წილი **პირისტერვა** და სააფთიაქო **ბჰირილა**. დააქუც-მაცეთ. 1 ს/კოვზ ნარევს დაასხით 2,5 ჩ/ჭ მდუღარე. შეახვიეთ და გააჩერეთ 5-ნ საათი. შემდეგ ნაყენი გაწურეთ და მიიღეთ თბილი სახით, ერთი თვის განმავლობაში, 2 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში, ჭამის წინ.

რეცეპტი № 87

2 ს/კ **ტუსტის** ფესვები ადუღეთ 1 ჩ/ჭ წყალში 30 წუთი. გაწურეთ, მიიღეთ 50 გ ჭამის დროს, გამოჯანმრთელებამდე.

ბ

### ბრონქიტი

რეცეპტი № 88

აიღეთ 100-100 გ ვირისტერფა ღა მრავალქარღვა, 50 გ ძირტკბილას ფესვები. ყველაფერი შეურიეთ. ამ ნარევის ერთ სადილის კოვზს თერმოსში დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე, დატოვეთ 15 წუთი, შემდეგ გაწურეთ. მიიღეთ 2-3-ჯერ დღეში. ჩაიში შეგიძლიათ დაუმატოთ მთავლი გემოვნებით.

ეს რეცეპტი უმჯობესია გამოიყენოთ მაშინ, როდესაც ხველა „მშრალია“.

რეცეპტი № 89

თუ ხველება „სველია“, უმჯობესია დაამზადოთ ამოსახველებელი ჩაი: თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ტუსტის ფესვურები და ვირისტერფას ფოთლები. ნარევის ერთ სუფრის კოვზს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე (უმჯობესია თერმოსში), დააყრვნეთ 10-15 წუთი, გაწურეთ. მიიღეთ დღეში 2-3-ჯერ ნახევარი ჭიქა თბილ მდგომარეობაში მშიერზე ან ჭამის წინ. შეიძლება მისი მიღება თაფლთან ერთად.

რეცეპტი № 90

გარეცხილ-გაფხეკილ, თხლად დაჭრილ შავ ბოლოვს მოაყარეთ შაქრის ფუნდი და ექვსი საათი გააჩერეთ. ყოველ საათში დალიეთ თითო სუფრის კოვზი წვენი. ეს ნაყენი ძალიან რგებს ბავშვებს.

რეცეპტი № 91

ვირისტერფას ორი-სამი ფოთოლი ჩაყარეთ 0,5 ლ ახალ რძეში და აადუღეთ, დაუმატეთ დანის პირის წვერით ღორის ქონი და დალიეთ ერთი ჩაის ჭიქა ძილის წინ.

ბ

# ბუასილი

რეცეპტი № 92

ქავილი და უსიამოვნო შეგრძნება მაშინვე გაქრება, თუ მტკივნეულ ადგილზე წავისვათ მომზადებულ ნახარშს: მოხარშეთ 4 კბილი ნიორი, შეურიეთ 1 ჩაის კოვზ თაფლში და ერთ ჩაის კოვზ პაშლის ძმარში.

რეცეპტი № 93

დეფეკაციის ყოველი აქტის შემდეგ სისუფთავის დაცვა ბუასილის მკურნალობის ძლიერ მნიშვნელოვანი ფაქტორია. გაისუფთავეთ უკანა ტანი ბამბის ჯერ წყალში დასველებული ტამპონით, შეიყვანეთ ღრმად ანუსში, შემდეგ E პიტამინ დამატებული ლიმონის წვენში დასველებული ტამპონით დაისველეთ მტკივანი ადგილები. გაჩნდება წვის შეგრძნება, მაგრამ ეს გემაროიდული კვანძების შეკუმშვის შედეგია.

რეცეპტი № 94

მენთოლი - 2,5 გრ, ანესთეზინი - 1,5 გრ, ნოვოკაინი - 15 გრ, სპირტი - 100 გრ.  
ეს საშუალება მთლიანად კურნავს ბუასილს, რისთვისაც საკმარისია პროცედურის ჩატარება დღეში ერთხელ, ხსნარში დასველებული ბამბის ტამპონით. პროცედურებს თან ახლავს ხანმოკლე წვა, რამაც არ უნდა შეგაშინოთ.

რეცეპტი № 95

2 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული (გალესილი) ძანი-ფოლი აურიეთ 1/4 ჭიქა მსუსმსირის ზეთში. დააყენეთ 10-15 წუთის განმავლობაში წყლის აბაზანაზე. დამით მტკივნეულ ადგილას დაიდეთ ამ ნარევით დასველებული ბამბის ტამპონი.

ბ

# ბუასილი

რეცეპტი № 96

15 გრამ ზარსმანღუკის ფოთლებს დაასხით ერთი ჩაის ქიქა მდუღარე წყალი და ცოტა ხანს ასე გააჩერეთ. ეფექტის გასაძლიერებლად ამ ბალანს შეგიძლიათ ორმოცანღის დაქუცმაცებული ფესვი შეუერთოთ. აიღეთ ერთიც და მეორეც თითო სუფრის კოვზის ოდენობით 1 ჩაის ქიქა მდუღარე წყალზე. გააჩერეთ 8 საათს, შემდეგ გაწურეთ და სვეთ თითო სუფრის კოვზის ოდენობით 3-4-ჯერ დღეში.

რეცეპტი № 97

აიღეთ სოჭხე მიმაგრებული თეთრი ფიჭვის ღერო ფოთლებთან ერთად. დაასხით ერთი ქიქა ცივი წყალი და დადგით ერთი დამე. დილით ეს წყალი დალიეთ. ეს პროცედურა ხშირად გაიმეორეთ.

რეცეპტი № 98

200 გრამი ტყის პიტნა გაასუფთავეთ და სამ ლიტრა ადუღებულ წყალში ჩაყარეთ. მოადუღეთ და გააციეთ. მიიღეთ დღეში 4-ჯერ 100 გრ.

რეცეპტი № 99

აიღეთ ჰერხვის ფოთლები და დაიდეთ ბუასილის კვანძებზე 2 საათით. თუ შეგრძნებები მტკივნეული და გაუსაძლისი იქნება, ფოთლები მოიშორეთ და კვანძები მოიბანეთ ცივი წყლით. ორი დღის შემდეგ შეგიძლიათ გაიმეოროთ სენსი. კვანძების დაცხრომისა და ზომაში შემცირების კვალობაზე, რაც შეიძლება იშვიათად იხმარეთ ვერხვის ფოთლები და ვადადით მსოლოდ ცივი წყლით მობანვაზე. ასევე ყოველი კუჭში გასვლის შემდეგაც მოიბანეთ ცივი წყლით.

ბ

ბუასილი

რეცეპტი № 100

ქვაბში აადუღეთ 3 ლიტრი წყალი. გახსენით მასში 200 გრამი შაბში, დაახურეთ სახურავი. 2-3 წუთის შემდეგ ჩაასხით ნარევი ვედროში და დასვით ზედ ავადმყოფი, რათა გაიორიქლოს სწორი ნაწლავი. სეანსის შემდეგ ავადმყოფმა უნდა შეიზილოს ვახელინი, როგორც შიგნიდან, ისე გარედან და მიიღოს გამხსნელი საშუალება. სეანსი ავადმყოფმა უნდა ჩაიტაროს არაუმეტეს ერთჯერ კვირაში. ორი ან სამი სეანსი საკმარისია ავადმყოფობის ჩასაქრობად.

რეცეპტი № 101

ბუასილის დროს კარგ შედეგს იძლევა ახალი ჭნაპის (ცირცელის) წვენი. ამ წვენის დაღვევა საჭიროა დღეში სამჯერ ორი სუფრის კოვზის ოდენობით. მიღების წინ წვენი დაატკბეთ შაქრით და მიღებისთანავე დააყოლეთ ერთი ჭიქა წყალი. ეს წვენი გამხსნელზე უკეთ მოქმედებს.

რეცეპტი № 102

2 ს/კ დაქუცმაცებულ ბაბუაწვერას დაასხით 200 გ ცივი ანადუღარი წყალი, გააჩერეთ 8 საათი, შემდეგ გაწურეთ. მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ 3-ჯერ, მდგომარეობის გაუმჯობესებამდე. მკურნალობის კურსია - 1-2 კვირა. არ დაუშვათ ყაბზობა.

რეცეპტი № 103

ტუალეტის შემდეგ თბილი წყლით ჩაიბანეთ, შემდეგ გაისაბნეთ და კვლავ დაიბანეთ. ერთი - ორი კვირის შემდეგ თქვენ ყოველგვარი უსიამოვნება დაგაავიწყდებათ. ამ პროცედურის გაკეთება სასურველია ყოველ დღე.

რეცეპტი № 104

ავილოთ ხაშხაშის ქერქი, ტუხტის თესლი, პრასა. ეს მასა მოვადულოთ წყალში და კომპრესების სახით დავიდოთ. შემდეგ გამოვიბანოთ.

ბ

## განბრენა

განბრენის სამკურნალო ერთი ძალზე საიმედო საშუალება, რომელიც აღწერილია სანელბანთქმული აპერიკალი ნატუროკათის ჩარლზ მაკ ფერინის შესანიშნავ ფიზიკურ „ჯანმრთელობის ათი მცნება“.

“აიღეთ ახლადდაკლული ცხვრის ან ძროხის ღვიძლის ნაჭერი და გაურეცხავად დაადეთ ავადმყოფს განგრენით დაავადებულ ადგილზე. დააცადეთ ერთი ან ორი საათი, ან საერთოდ, იმდენი, ვიდრე ღვიძლის ქვეშ მუწუკი ან თავისებური წყლულები არ გაჩნდება. გამოსარშეთ ნემსი და დაჩხვლიტეთ ყველა წყლული. შემდეგ ისევ დაადეთ სისხლიანი ღვიძლი და ასე გაიმეორეთ მანამდე, ვიდრე კვლავდაკვლავ ჩნდება წყლულები...

დოქტორი მაკ ფერინი ამტკიცებს, რომ იგი უშუალოდ მოწმეა მრავალი შემთხვევისა, როდესაც ყველა ექიმი მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ საშუალებად ოპერაციას მიიჩნევდა და უში ღვიძლით მკურნალობამ ავადმყოფს ხელი ან ფეხი შეუნარჩუნა. უკვე ორი თუ სამი საათის შემდეგ ისინი თავს შესანიშნავად გრძნობდნენ. ხოლო ექიმები, ჯერ კიდევ გუშინ რეკომენდაციას რომ იძლეოდნენ “მოეკვითათ” განწირული სახსარი, ერთი დღის შემდეგ გაოცებულნი აღიარებდნენ, ქირურგიული ჩარევა საჭირო არ არისო და საგონებელში ჩავარდნილები მხოლოდ ერთ შეკითხვასღა იძლეოდნენ - “რა მოხდა”, “რა შეიძლება მომხდარიყო?”

ერთი გარდაუვალი აუცილებლობა: მოწამლული განაკაწრი თუ ჭრილობა, ღვიძლის ნაჭრის დადებაზე და ავადმყოფ ადგილზე დამაგრებამდე, უნდა გაიხსნას.

ბ

## ბანბრენა

ხალხური პედიცინის ოსტატებს ამპუტაციისაგან უხსნიათ (ვანგრენის დროს) ათობით ათასი ხელი და ფეხი და ასობით ათასი თითი ხელზე თუ ფეხზე.

ვანგრენის დროს რუსი ექიმები, როგორც წესი, სკალპელს მიმართავენ, ექიმბაშები კი, სულ სხვა საშუალებებს: იღებენ შავ, ახლადგამომცხვარ, უმეტესად, ჭვავის პურს, დიდი რაოდენობით აყრიან მარილს და ლეჭავენ. შემდეგ, მტკივნეულ ადვილს ვარშემო ადებენ დაღეჭილი მარილიანი პურის სქელ ფაფას და შეახვევენ. ეს საშუალება საიმედო და არაჩვეულებრივად ძლიერია.

ლეჭვის დროს პური და მარილი კარგად შეერევა როგორც ერთმანეთს, ისე ნერწყვს, ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ვანგრენისა და ჩირქოვანის განკურნების პროცესში.

თუმცა, აღწერილი ხალხური მალამო ძლიერ მოქმედი და საიმედოა, უმეტეს წილად მაინც ექიმს უნდა მიმართოთ, რადგან ვანგრენასთან ხუმრობა არ შეიძლება.

სან-ფრანცისკოში მცხოვრებ ერთ მანდილოსანს ხელის თითზე გაუჩნდა ავთვისებიანი წყლული, რომელიც მალე ვანგრენაში გადაიზარდა - თითი შავდებოდა და ექიმმა ავადმყოფს ამპუტაცია ურჩია. ოპერაცია ორი დღის შემდეგ დაინიშნა. უბედურმა, აცრემლებულმა ქალმა ყველა თავის ნაცნობს დაურეკა. მისდა საბედნიეროდ, ერთმა მათგანმა იცოდა ზევით აღწერილი მალამოს შესახებ და მანდილოსანი დაუყოვნებლივ შეუდგა ამ საშუალებით მკურნალობას. დადგა ოპერაციის დღე. ექიმმა სტერილიზაცია გაუკეთა და გამოხარშა ქირურგიული საშუალებები, მოხსნა ბანდი ავადმყოფს თითიდან და გაცეხებული შედგა. თითი თეთრი იყო - სიმავე გაქრა. მაშინ ექიმმა გადაჭრით განაცხადა, ოპერაცია საჭირო აღარ არისო და დაინტერესდა, რითი იმკურნალა ქალმა. ამ უკანასკნელმაც სიამოვნებით უამბო ყველაფერი.



ბ

## გასტრიტი

რეკეპტი № 107

**ელგვის** მარცვლები მიიღეთ საუზმის წინ წყალთან ერთად (დაქვიითებული სეკრეტორული ფუნქციის გასტრიტების შემთხვევაში). უნდა დაიწყოთ 1 მარცვიდან, ყოველ დღეას დოზა გაზარდეთ თითო მარცვლით, იმკურნალეთ ზედიზედ 20 დღე. შემდეგ დოზა შეამცირეთ ისევ თითო მარცვლით. მკურნალობის კურსი შეიძლება გაიმეოროთ ერთი კვირის შემდეგ.

რეკეპტი № 108

2 მწვანე გაუფცქენელი **მაული** გახეხეთ. შემდეგ გამოწურეთ წვენი და გადააგდეთ გული და თესვები. ამ მასას მიიღებთ ერთ ჯერზე. ასეთ მკურნალობამდე 5 საათით ადრე და მის შემდეგ 5 საათის მანძილზე არ შეიძლება არაფრის ჭამა და დაღვება. ამგვარი მკურნალობა საქროა რეგულარულად ერთი თვის განმავლობაში, ზოგჯერ მეტ ხანსაც.

რეკეპტი № 109

**ტუსტის** ძირი - 1 წილი, **ბპირილა** - 1 წილი, **ჭანბას** ფესვი - 1 წილი, **ძირტაბილა** - 1 წილი. ყველაფერი წვრილად დააქუცმაცეთ და ნარევის ერთი სადილის კოფში ჩაყარეთ ერთ ჭიქა წყალში. ადუღეთ 10 წუთი, შეფუთეთ და დააყენეთ სამი საათი. გაწურეთ, მიიღეთ ღამით ნაყენის ერთი ჭიქა. გამოიყენება მწვავე და ქრონიკული გასტრიტისას.

ბ

**ბასტრიტი**

რეცეპტი № 110

ბპირილას ყვავილები - 10 გრ, შარსმან-  
ღუპი - 10 გრ, აბზინდა - 10 გრ, პიტნა - 10 გრ,  
სალბი - 10 გრ. აიღეთ ნარევის ერთი ჩაის კოფხი ერთ ჭიქა  
მდუღარზე. შეფუთეთ. დააყენეთ 30 წუთი, გაწურეთ. მიიღეთ  
ცხელი ნაყენი 0,5 ჭიქა ორჯერ დღეში ჭამამდე 30 წუთით  
ადრე.

რეცეპტი № 111

კატაბალასას (ვალერიანი) ფესვები - 10 გრ,  
წყლის სამყურა - 10 გრ, პიტნა - 10 გრ, შორ-  
თოსლის ქერქი - 10 გრ. აიღეთ ნარევის 2 ჩაის კოფხი  
ერთ ჭიქა მდუღარზე. შეფუთული გააჩერეთ 30 წუთი.  
მიიღეთ ნაყენის ერთი ჭიქა სამჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

რეცეპტი № 112

თეთრთავა კომპოსტოს წვენი გამოიყენება  
ქრონიკული გასტრიტების, განსაკუთრებით დაწეული  
მყვიანობის, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლუ-  
ლოვანი დაავადებების დროს. ოჯახურ პირობებში წვენს  
იღებენ შემოსული თავის დაქუცმაცებული ფოთლების  
გამოწურვით. მიიღეთ 1/2 ჭიქა, 2-3-ჯერ დღეში ჭამამდე  
ერთი საათით ადრე თბილ მდგომარეობაში. მიღებული  
წვენი შეიძლება მაცივარში შეინახოს არა უმეტეს  
ორი დღე-ღამისა.

რეცეპტი № 113

30 ცალ კვპალიპტის ფოთოლს დაასხით 10  
ჭიქა მდუღარე წყალი. 24 საათის შემდეგ მივიღოთ  
1,5 ჭიქა ჭამამდე 1 საათით ადრე. 5 დღე მივიღოთ, 1  
დღე შევისვენოთ.

**ბ**

**ბასტრიტი**

რეცეპტი № 114

ერთ ჩაის კოვზ კომსუჯის ძირებს დაასხით ერთი ჭიქა გადაღებულელი, ოთახის ტემპერატურის წყალი. დააყოვნეთ 24 საათი, გაწურეთ, მიიღეთ 3-4 კვირის განმავლობაში თითო სადილის კოვზი ჭამის წინ და ჭამის შემდეგ. დალევის წინ შეათბეთ. კოთხუჯის ფესვები მოძწაროა.

რეცეპტი № 115

შეურიეთ ერთმანეთს 2-2 წილი მიწაგაყვალა და ორფერი, 3 წილი ლურჯი მოცვის ფოთოლი. 2 ს/კ ნარევს დაასხით 0,5 ლ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 30 წუთი, გაწურეთ და მიიღეთ, როგორც ჩაი.

რეცეპტი № 116

200 გრ დაჭყლეთილი მრამპალპარლპა ადუღეთ 5 წუთის განმავლობაში 0,5 ლ ჭაჭის არაყში. ნაყენი გაწურეთ, გააციეთ და ჩაასხით ბოთლში. მიიღეთ ერთი სუფრის კოვზი დილით, უზმოზე, საწოლიდან ადგომამდე ერთი საათით ადრე. სანამ წამალს ვსვამთ, სიგარეტის მოწევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

რეცეპტი № 117

შეურიეთ ერთმანეთს თითო წილი პრაზანა, ფარსმანდუკი, პიტნა და ბარამბო, 2 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი. გააჩერეთ 20 წუთი, მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში.

ბ

**გასტრიტი**

რეცეპტი № 118

20 გრ ძრწანას დაუმატეთ 20 გრამი შარს-მანღუპის ფოთლები, 10 გრამი ქრისტისისსლა, 20 გრ ბჰირილას ყვავილი. აურიეთ შემადგენლობა. ნაკრებიდან აიღეთ 1 ს/კ ბალახი, დაასწით 1 ჭიქა მდულარე წყალი და გააჩერეთ თავდახურულ მდგომარეობაში 30 წუთის განმავლობაში. რომ შეგრილდება, გადაწურეთ. დალიეთ თითო ჭიქა 2-3-ჯერ დღეში ჭამიდან 1 საათის შემდეგ.

რეცეპტი № 119

გასტრიტის დროს, როცა კუჭის მჟავიანობა მომატებულია, რეკომენდებულია **პარტოფილის წველის** მიღება. ამისათვის იღებენ 3/4 ჭიქა ასლად გამოწურულ კარტოფილის წვენს და სვამენ უსმოსე. შემდეგ წამოწვებიან ნახევარი საათით, სოლო ერთი საათის შემდეგ შეიძლება საჭმლის მიღება. მკურნალობის კურსია 10 დღე.

რეცეპტი № 120

**დიდიკაპა** - 1 წილი, **ტუსტის ძირი** - 1 წილი, **ბჰირილა** - 1 წილი, **ჭანბას ფესვი** - 1 წილი, **ძირტბბილა** - 1 წილი. ყველაფერი წვრილად დააქუცმაცეთ და შეურიეთ ნარევის ერთი სადილის კოფნი ერთ ჭიქა წყალში. ადუღეთ 10 წუთი, შეფუთეთ და დააყენეთ სამი საათი. გაწურეთ, ღამით მიიღეთ ნაყენის ერთი ჭიქა.

რეცეპტი № 121

**შავი მოცხარის** ახალ წვენს სვამენ დაქვეითებული მჟავიანობის გასტრიტების დროს 1/4 ჭიქას 3-ჯერ დღეში, ერთი თვის განმავლობაში.

ბ

## გასტრიტი

რეცეპტი № 122

ტყის მარწყვი გამოიყენება ფოთლების და ფესვების ნაყენის სახით. ნარევის 1 სუფრის კოფს დაასხით 2 ჭიქა ცივი წყალი, დააყენეთ 6-8 საათი, გაწურეთ. მიიღეთ 1/2 ჭიქა ყოველდღე.

რეცეპტი № 123

სალამას ფოთლების ნაყენი გამოიყენება ქრონიკული გასტრიტის დროს. სადილის კოფს დაქუცმაცებულ ფოთოლს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე, გააჩერეთ 1-2 საათი, შემდეგ გაწურეთ. მიიღეთ 1/2 ჭიქა ორჯერ დღეში ან თითო ჭიქა ერთ მიღებაზე ღამით.

რეცეპტი № 124

ფარსმანდუკის ბალახის ნახარშს იყენებენ ქრონიკული გასტრიტების და წყლულოვანი დაავადებებისას. ერთ ჩაის კოფს დაასხით 250 გრ მდუღარე, ადუღეთ 5-10 წუთი ნელ ცეცხლზე, გაწურეთ. მიიღეთ 1/2 ჭიქა სამჯერ დღეში 25-30 დღის განმავლობაში.

რეცეპტი № 125

პიტნა - 20 გრ, ასისტავა - 5 გრ, აიღეთ ნარევის 2 ჩაის კოფში ერთ ჭიქა მდუღარეზე, შეფუთეთ, გააჩერეთ 30 წუთი, გაწურეთ. მიიღეთ თითო ჭიქა სამჯერ დღეში ჭამამდე 30 წუთით ადრე.

ბ

ბაცვიბა

რეცეპტი № 126

თერმოსში ჩაყარეთ 100 გრამი **ასპილი** და გააჩერეთ 5 საათს. მოადუღეთ მაგარი **ქაშა**, შეურიეთ ასკილის ნაყენს, ჩაუმატეთ **უტოშის** და **შოლოს** რამდენიმე კენკრა, 2-3 ჩაის კოვზი რომელიმე ხილის ლიქორი (უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება შაქრის ჩამატება). დაუმატეთ ლიმონის თხელი ნაჭერი და დალიეთ ერთი დღის განმავლობაში.

რეცეპტი № 127

თანაბარწილად შეურიეთ ერთმანეთს **ბჰირილის** ყვავილი, **ასპილი**, **ლიმონის** ქერქი, მტირალა **ტირიშის** (ძეწნის) ქერქი, **ცაცხვის** ყვავილი აიღეთ ამ ნაკრებიდან 1 ჩაის კოვზი ნედლეული, ჩაყარეთ ჩაის ჭიქა მდულარე წყალში და გააჩერეთ ათ წუთს. მიიღეთ დღის განმავლობაში სამ ნაწილად, თბილ-თბილი, ჭამამდე 15 წუთით ადრე.

რეცეპტი № 128

დღეში რამდენჯერმე მიიღეთ **ასპილის** ნაყოფის, **ცაცხვის** ყვავილის ჩაი ან ჩაი **შოლოს** მურაბით. საკვებში გამოიყენეთ **ხახვი**, **ნიორი**, **ც** ვიტამინით მდიდარი ხილი - **ფორთოხალი**, **ლიმონი**.

რეცეპტი № 129

საწოლის გვერდზე დაკიდეთ ტომსიკა წერილად დაქრილი **ნიპრიტი**. ეს ხერხი განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისათვის.

ბ

## გველის ნაკბენი

გველის კბენისთანავე ადამიანს ეწყება ტკივილი და წვა, ნაკბენი ადგილი სივდება. შეშუპება სწრაფად ვრცელდება მთელ კიდურზე, ჩნდება კანქვეშა სისხლჩაქცევები. თავს იჩენს ზოგადი მოვლენები - თავის ტკივილი, თავბრუ, გულისრევა, პირღებინება, ტემპერატურის მომატება. მძიმე შემთხვევებში იწყება ფაღარათი, ბოდვა, არტერიული სისხლის წნევა ეცემა.

დააწვინეთ დაზარალებული და თუ პირში არა გაქვთ ასალი ქრილობები ანდა ღრძილებიდან სისხლდენა, ეცადეთ გამოწვოვით შხამი ნაკბენიდან, რისთვისაც წინასწარ გადაწიეთ კანი ნაკბენის არეში. გამოწვოვა შეიძლება მოხდეს საკმარისი დიაპეტრის მქონე მილაკის, საბაჟვო ოყნის, თუ ცარიელი პოლიეთილენის ბოთლის საშუალებით. მაშინვე დაწყებული გამოწვოვა საშუალებას მოგცემთ შხამის 30-50 % გამოწვოვით, რაც მნიშვნელოვნად შეასუსტებს ინტოქსიკაციას. გამოწვოვა უნდა გააგრძელოთ 10-15 წუთის განმავლობაში.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ დაზიანებული კიდური უძირავედ დარჩეს, რადგანაც მოძრაობა დააჩქარებს შხამის მოსეკდრას სისხლში. რაც ხელში მოგხვდებათ (ჯოხი, ფიცრის ნაქერი), იმისგან დაამზადეთ არტაშანი და დააფიქსირეთ ნაკბენი ხელი ან ფეხი. არ შეიძლება კიდურის არტახით გადაჭერა! ეს მხოლოდ გაადრმავეებს ინტოქსიკაციას და შეიძლება გამოიწვიოს მძიმე შოკი. უკუჩვენება აქვს გაჭრას, მოწვას, ნაკბენის არეში მარუანცოვას ან სხვა მკანგავის შეყვანას, რაც ადგილობრივ ტრავმატულ მოქმედებას გამოიწვევს. ალკოჰოლის მიღებას სამკურნალო ეფექტი არა აქვს. უმჯობესია მეტი რაოდენობით ჩვეულებრივი თუ მინერალური წყლის სმა.

დაზარალებულს ნაკბენზე დაადეთ დოლბანდის საფენი და მიიყვანეთ უახლოვეს საავადმყოფოში.

**ბ**

**ბინგივიტი**

რეცეპტი № 131

გინგივიტისას და კბილის ტკივილის დაწყებისას **ორმოპანღის** დაქუცმაცებული თესლის წვენში ჩაუმატეთ ცოტა სუფრის მარილი, ამოაორთქლეთ, დაამწადეთ მალამო. იგი წაისვით ღრძილებზე. თვით დაავადების მძიმე ფორმის დროსაც კი 2-3 წასმის შემდეგ ხდება გამოჯანმრთელება.

რეცეპტი № 132

ს სუფრის კოვზი გამხმარი, დაქუცმაცებული ყანის ბირბა 3-5 წუთით ავადულოთ 1 ლ. წყალში. დაგაყენოთ თბილ ადგილას ოთხი საათი, გაავწუროთ. გამოფენოთ პირის ღრუს გამოსავლებად .

რეცეპტი № 133

გინგივიტის პროფილაქტიკისათვის საჭიროა გამოსავლებად ვისმართო **ბლენდულას** ყვავილის ნახარში ან ნაყენი (1:10), 1 ჩაის კოვზი ნაყენი 1 ჭიქა წყალზე, დილა-საღამოს. კარგი იქნება, თუ წინასწარ ჩავიტარებთ ღრძილების მასაჟს თითებით.

რეცეპტი № 134

**ყავის მარცვლები** დაყანასშიროთ, წმინდად დაფუქვათ, მის ერთ წილს შეეურიოთ ორი წილი **შაქრის კუღრა**. რბილი კბილის ჯაგრისით ჩავიტაროთ ღრძილების მასაჟი დღეში სამჯერ, შემდეგ გამოვივლოთ კალენდულას ნაყენი.

რეცეპტი № 135

**მაყვლის** ფოთლების ნაყენი ან ნახარში გამოიყენება პირის ღრუში გამოსავლებად გინგივიტის დროს.



ბ

ბრიპი

რეცეპტი № 136

მოამზადეთ სასმელი: 1 ჭიქა წყალი მიიყვანეთ ადუღებამდე, დაჭერით 1 კბილი ნიორი წვრილად, ჩაყარეთ ჭიქაში და გასრისეთ კოფხით, დაუმატეთ 1/4 ლიმონის წვენი და 1 ჩაის კოფხი პიტნა. დაასურეთ და ხარშეთ 3-5 წუთი. (სურვილისამებრ დაამატეთ მათლი). ჩაწეით ლოგინში და სამი დღე ნუ მიიღებთ საკვებს. თუ შიმშილობა არ გინდათ, გამოჯანმრთელებამდე რაციონიდან გამორიცხეთ რძის პროდუქტები.

რეცეპტი № 137

ყველაზე ცნობილი მეთოდი **ბრაჰმი**. თუ გრიპის შეყრიდან 3-5 საათის განმავლობაში (ან უფრო ადრე პროფილაქტიკის მიზნით) 100-150 გრამ არაყს გადაპკრაოთ. გრიპის ვირუსები ვეღარაფერს დაგაკლებენ. თუ არაყს შავ პილპილს და წიწაკას დაამატებთ, მაშინ ნებისმიერ გაციებას 2-3 დღეში მოიხსენთ.

რეცეპტი № 138

ფეჟექტური საშუალებაა შავი მოცხარი. მნიშვნელობა არა აქვს, როგორი სახით გაქვთ ის (დაშაქრული მურაბა, გამხმარი ფოთლები, ნაყოფი). მოცხარი ჩაყარეთ მდუღარე წყალში და დალიეთ ჩაის სახით დღეში 3-4 ჭიქა.

რეცეპტი № 139

ავადმყოფს შეუხილეთ სოჭის ზეთი (არა უმეტეს 6 გრამისა) მკერდზე, ზურგზე, ხელებზე, ფეხებზე ყოველ 5-6 საათში. ამავე დროს, ჩაიწვეთეთ ცხვირში თითო წვეთი.

ბ

**ბრივი**

რეცეპტი № 140

გრიბის დროს ცხვირის მოხოცვა საკმაოდ ხშირად გვისდება. თუ სურდო ძლიერია, შეიძლება ყნოსვაც კი დაგკარგოს (დროებით!). ხალხური მედიცინა ამ შემთხვევაშიც გამოგადგება. **სოდა და მარილი** (თითო ჩაის კოვზი) ჩავეყაროთ 200 გრამიან ჭიქაში, დაეასნათ თბილი წყალი და თითოეული ნესტოთი ცალ-ცალკე შევისრუტოთ. ნუ შეგეშინდებათ. ეს არც ისე რთული გასაკეთებელია, სითხე უკანვე გადმოიღვრება.

რეცეპტი № 141

უმი სხსპი გავხვებით, მიღებული ფენა მოვათავსოთ დოლბანდზე და ეს კომპრესი დავიდოთ ცხვირის მიდამოებში 10 წუთით. კანის გაღიზიანების თავიდან ასაცილებლად უმჯობესია წავისვათ ზეთი ცხვირის მიდამოებში.

რეცეპტი № 142

აიღეთ 2 **ლიმონი** (გააცალეთ კურკები) და გახვეთ. გაჭყლიტეთ 2 თავი **ნიორი**. მიღებული ფაფა შეურიეთ 1 ლიტრა ადუღებულ წყალს, გააჩერეთ ბნელ ადგილას ოთახის ტემპერატურაზე. ნაყენი გადაწურეთ, დადგით მაცივარში და მიიღეთ უმპოზე, სუფრის კოვზით.

რეცეპტი № 143

